N455 2015 წლის 2 ნოემბერი ქ. თბილისი

ქ. სალუქვაძისთვის და გ. გვენეტაძისთვის „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო კომბინირებული ტვირთების გადაზიდვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს **ქეთევან სალუქვაძეს** და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს **გოგიტა გვენეტაძეს** მიენიჭოთ „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო კომბინირებული ტვირთების გადაზიდვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**